

**Bogpay-ით სარგებლობის წესები და პირობები**

Bogpay-ით სარგებლობით ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ ჩემთვის ცნობილია **Bogpay-ით სარგებლობის წესები და პირობები** და სრულად ვეთანხმები მათ.

1. **წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის ქვემოთ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**
  - 1.1. **Bogpay** - ბანკის პლატფორმა / ვებ-გვერდი, სადაც შესაძლებელია მიმღების სასარგებლოდ ბარათით ან წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ შემთხვევაში ბარათის გარეშე გადახდის ოპერაციის შესრულება, ასევე წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული სხვა ოპერაციის შესრულება;
  - 1.2. **ავტორიზაცია** - **Bogpay**-ზე წვდომა რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ **Bogpay**-ზე მითითებული მომხმარებლის სახელით, მომხმარებლის საიდენტიფიკაციო პარამეტრით და მომხმარებლის საიდენტიფიკაციო პარამეტრზე ბანკის მიერ გაგზავნილი ერთჯერადი კოდით.
  - 1.3. **ბანკი** - სს საქართველოს ბანკი, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869, საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა: კომერციული ბანკი, სათავო ოფისი მდებარე მისამართზე გაგარინის 29ა, თბილისი, საქართველო. ვებ გვერდის მისამართი: [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge), ელექტრონული ფოსტის მისამართი: [customerservice@bog.ge](mailto:customerservice@bog.ge), რეგისტრაციის ნომერი: 06/5-07, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: (+995) 032 2444 444;
  - 1.4. **ბარათი** - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი პლასტიკური ან ციფრული ბარათი, რომლითაც შესაძლებელია გადახდის ოპერაციის განხორციელება;
  - 1.5. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები** - ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, მფლობელის სახელი და გვარი და ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი (CVC2 ან CVV2);
  - 1.6. **გადახდის ოპერაცია** - მომხმარებლის მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია;
  - 1.7. **ერთჯერადი კოდი** - შემთხვევითი წესით დაგენერირებული ციფრების კომბინაცია, რომელიც გამოიყენება ბარათით გადახდის ოპერაციის დადასტურების მიზნით და რომელიც გენერირდება ბარათის გამომშვები ბანკის მიერ;
  - 1.8. **ვებ-გვერდი** - ბანკის სარგებლობაში არსებული ინტერნეტ-გვერდ(ებ)ი;
  - 1.9. **თვითმომსახურების ტერმინალი** - თვითმომსახურების მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც კლიენტს შეუძლია ბანკის მიერ განსაზღვრული ოპერაციების შესრულება;
  - 1.10. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
  - 1.11. **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი გარდა ბანკისა და მომხმარებლისა;
  - 1.12. **მიმღები** - იურიდიული პირი ან მეწარმე ფიზიკური პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც სერვისის/მომსახურების თანხის მიღებისთვის საგადახდელო არხად იყენებს bogpay-ს;
  - 1.13. **მომხმარებელი** - ბარათის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც Bogpay მეშვეობით აინიცირებს გადახდის ოპერაციას ან/და ასრულებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ ოპერაციას;
  - 1.14. **მხარე/მხარეები** - ბანკი ან/და მომხმარებელი;
  - 1.15. **საბანკო დღე** - დღე (შაბათის, კვირის და/ან კანონმდებლობით კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.
  - 1.16. **საკომისიო** - Bogpay-ზე გადახდის ოპერაციის ინიცირებისთვის ბანკის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა;
  - 1.17. **მომხმარებლის საიდენტიფიკაციო პარამეტრი** - Bogpay-ზე რეგისტრაციის მიზნებისთვის მომხმარებლის მიერ მითითებული მომხმარებლის სარგებლობაში არსებული ელექტრონული ფოსტა ან მობილური ტელეფონის ნომერი.
  - 1.18. **საგადახდო აპლიკაცია** - Google Pay და Apple Pay საგადახდო აპლიკაცია, რომლითაც შესაძლებელია ბარათით გადახდის ოპერაციის ან განაღდების ოპერაციის ინიცირება.



- 1.19. **შეღვათი / შეღვათით სარგებლობის ფუნქციონალი** - ბანკის მიერ ემიტირებული ბარათის პირობების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიერ დაწესებული, მუნიციპალური ტრანსპორტით მზავრობის საფასურის ბანკის მიერ ემიტირებული ბარათით გადახდის შემთხვევაში მზავრობის შეღვათიანი ტარიფით სარგებლობის შესაძლებლობა/ფუნქციონალი.
2. **Bogpay-ით სარგებლობის ძირითადი პირობები**
- 2.1. **მომხმარებლის მიერ Bogpay-ით სარგებლობის** საფუძველზე, ბანკი იღებს ვალდებულებას გაუწიოს **მომხმარებელს გადახდის ოპერაციასთან**, ასევე წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებული მომსახურება, რის სანაცვლოდაც **მომხმარებელი** იღებს ვალდებულებას შეასრულოს **Bogpay-ით** სარგებლობისთვის განსაზღვრული პირობები/ვალდებულებები და გადაიხადოს **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 2.2. **საკომისიოს** ოდენობა ინდივიდუალურია **მიმღების** მიხედვით და **მომხმარებელს** ეცნობება **Bogpay-ით** ყოველი **გადახდის ოპერაციის** ინიცირების ეტაპზე, რომელსაც **მომხმარებელი** გადაიხდის შესაბამისი ოპერაციის ინიცირებასთან ერთად.
- 2.3. **მომხმარებელი** უფლებამოსილია გაიაროს **Bogpay-ზე** რეგისტრაცია, რისთვისაც მომხმარებელმა **Bogpay-ის** შესაბამის ველში უნდა მიუთითოს **მომხმარებლის** სახელი, **მომხმარებლის** **საიდენტიფიკაციო პარამეტრი** და აღნიშნულ **მომხმარებლის** **საიდენტიფიკაციო პარამეტრზე** ბანკის მიერ გაგზავნილი ერთჯერადი კოდი.
3. **განცხადებები და გარანტიები**
- 3.1. **მომხმარებელი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
- 3.1.1. **Bogpay-ით** სარგებლობის დროისათვის/გადახდის ოპერაციის განხორციელების მომენტისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, მოქმედი **კანონმდებლობით** დადგენილი წესით);
- 3.1.2. **Bogpay-ით სარგებლობა/გადახდის ოპერაციის** ინიცირება ხდება მის მიერ ნებაყოფლობით, **ბანკის** ან **მესამე პირის** მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;
- 3.1.3. **Bogpay-ით სარგებლობა/გადახდის ოპერაციის** შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), **კანონმდებლობის** ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;
- 3.1.4. თანახმაა მის მფლობელობაში არსებული ბარათის **საიდენტიფიკაციო მონაცემები**, რომელსაც **მომხმარებელი** მიუთითებს **გადახდის ოპერაციის** განხორციელების მიზნებისთვის, **ბანკმა**, **გადახდის ოპერაციის** განხორციელების მიზნებისთვის და მის შესასრულებლად შეინახოს **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით **ბანკში** მოქმედი მონაცემთა შენახვის სტანდარტული წესით, აგრეთვე დაშიფროს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები** გადასცეს იგი **მიმღებს**, იმგვარად რომ არ იქნას გამჟღავნებული **მომხმარებლის** პერსონალური მონაცემები.
- 3.1.5. **გადახდის ოპერაციას** ახორციელებს ისეთი მობილური ტელეფონის აპარატით ან/და მოწყობილობის ან/და ინტერნეტ კავშირის გამოყენებით, რომელიც დაცულია **მესამე პირების** არასანქცირებული, არავტორიზებული წვდომისგან.
- 3.1.6. **ბარათი/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**, რომლის საშუალებითაც სრულდება **გადახდის ოპერაცია** არის მის კანონიერ სარგებლობაში/მფლობელობაში და ის არის **ბარათის** მფლობელი.
4. **Bogpay-ით სარგებლობის სხვა პირობები**
- 4.1. **გადახდის ოპერაციის** შესასრულებელი აუცილებელი რეკვიზიტები მითითებულია/მოთხოვნილია **Bogpay-იზე** ყოველი **გადახდის ოპერაციის** ინიცირებისას, აუცილებელი რეკვიზიტები ინდივიდუალურად განისაზღვრება **ბანკის** მიერ. **გადახდის ოპერაციის** სათანადოდ შესრულებისთვის **მომხმარებელმა** სავალდებულო წესით უნდა მიუთითოს მის სარგებლობაში არსებული **მიმღების** სერვისის/მომსახურების მაიდენტიფიცირებელი აუცილებელი რეკვიზიტები, რომლითაც, მათ შორის,



განისაზღვრება, **მომხმარებლის** მიერ სერვისის/მომსახურების ასანაზღაურებელი ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- 4.2. **მომხმარებელი** სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ **გადახდის ოპერაციის** განხორციელებისას/მისი ინიცირებისას მის მიერ მითითებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის, მათ შორის **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** სისწორეზე, მის სისრულეზე/ინტერნეტ კავშირის უსაფრთხოებაზე და ამ მოთხოვნების დაუცველობის შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ შედეგზე, მათ შორის ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც მიადგა **ბანკს** ან/და **მომხმარებელს**.
- 4.3. **გადახდის ოპერაციის** შესასრულებლად საჭირო რეკვიზიტები განისაზღვრება **მიმღების** მიერ **მომხმარებლისთვის** და **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ შესაძლო ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს იმ შემთხვევაში თუ **მიმღების** მიერ **მომხმარებლისთვის** მოხდა/მოხდება არასწორი რეკვიზიტების გაზიარება ან/და **მომხმარებელი Bogpay-იზე გადახდის ოპერაციის** ინიცირებისას შეიყვანს არასწორ რეკვიზიტებს.
- 4.4. **მომხმარებელი** უფლებამოსილია **Bogpay-იზე ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** შეყვანითა და **ერთჯერადი კოდით** დადასტურების გზით განახორციელოს **გადახდის ოპერაცია**, რომლის ერთჯერადი მაქსიმალური ლიმიტი არის 1500 (ათას ხუთას) ლარი. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი, თუ **ბარათის** გამომშვები **ბანკი მომხმარებელს** არ დაუგენერირებს **ერთჯერად კოდს** და ვერ მოხდება **გადახდის ოპერაციის** ინიცირება.
- 4.5. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დააწესოს/შეცვალოს შეზღუდვები/აკრძალვები ან და დამატებითი მოთხოვნები **გადახდის ოპერაციის** მომსახურებით სარგებლობაზე, მათ შორის და არა მხოლოდ დააწესოს **გადახდის ოპერაციის** სარგებლობის თანხობრივი ლიმიტები, განხორციელებული ოპერაციის რაოდენობა კონკრეტულ **მიმღებთან/ბარათთან** მიმართებაში, შეზღუდოს კონკრეტული **ბარათის** ტიპის ან/და კონკრეტული საბარათე სქემაში ჩართული **ბარათებით Bogpay-ის** მეშვეობით **გადახდის ოპერაციის** მომსახურებით სარგებლობა, მოითხოვოს **მომხმარებლისგან** დამატებითი ქმედებების შესრულება **გადახდის ოპერაციის** განსახორციელებლად/დასადასტურებლად და ა.შ.
- 4.6. **ბანკი** სრულად თავისუფლდება **მომხმარებლის** წინაშე ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან (მათ შორის ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანის (ზარალის) ანაზღაურებისაგან), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს **ბანკის** ბრალეული ქმედების გარეშე.
- 4.7. **ბანკი** უფლებამოსილია, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვითა და **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, **მომხმარებლის** მიერ წინამდებარე საბანკო პროდუქტთან/საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით გადაცემული ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები) დაამუშავოს **მომხმარებლის** მიერ სხვა ნებისმიერი საბანკო პროდუქტებით/საბანკო მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით.
- 4.8. თუ **მომხმარებელს Bogpay-ის** მეშვეობით საშუალება ექნება განახორციელოს **გადახდის ოპერაციები** მათ შორის ფინანსურ ორგანიზაციებში არსებული სასესხო/საკრედიტო ვალდებულებებისთვის და გადარიცხოს თანხა ანაბარზე/დეპოზიტზე და აღნიშნული მიზნით თუ **Bogpay-იზე** პირადი ნომრის ან სხვა რეკვიზიტების შეყვანისას ნაჩვენები იქნება სასესხო დავალიანების ოდენობა ან სხვა დამატებითი ინფორმაცია და **მომხმარებელს/მესამე პირს** არ სურს რომ **Bogpay-ის** მეშვეობით მისი ვალდებულება დაიფაროს ან/და ანაბარი/დეპოზიტი შეივსოს, შესაძლებლობა აქვს მიმართოს **ბანკს** სერვის ცენტრის მეშვეობით, დააფიქსიროს აღნიშნული სურვილი და **ბანკი** უზრუნველყოფს რომ **Bogpay-ის** მეშვეობით აღარ იყოს შესაძლებელი **გადახდის ოპერაციების** შესრულება ფინანსურ ორგანიზაციებში არსებულ სესხებზე/კრედიტებზე და ანაბარზე/დეპოზიტზე.
- 4.9. **მომხმარებელი**, რომელსაც **Bogpay-ზე** წვდომა ექნება **ავტორიზაციის** გზით, უფლებამოსილია **Bogpay-ზე** დაიმახსოვროს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**, წაშალოს დამახსოვრებული **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**, შექმნას **გადახდის ოპერაციის** შაბლონი და გააუქმოს ის და შეცვალოს **მომხმარებლის საიდენტიფიკაციო პარამეტრი**. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების** დამახსოვრებისთვის სავალდებულოა შესაბამისი **ბარათით გადახდის ოპერაციის** განხორციელება, ხოლო **მომხმარებლის საიდენტიფიკაციო პარამეტრის** ცვლილება სავალდებულოდ უნდა დადასტურდეს **მომხმარებლის საიდენტიფიკაციო პარამეტრზე** **ბანკის** მიერ გაგზავნილი ერთჯერადი კოდით.



- 4.10. **თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ დაკავებული თანხის **Bogpay-ის** მეშვეობით ანაზღაურების ფუნქციონალით შესაძლებელია **ბანკის თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ დაკავებული თანხის ანაზღაურება, რომელიც გულისხმობს **თვითმომსახურების ტერმინალის** მეშვეობით გადახდის ოპერაციის ინიცირების პროცესში, თანხის **თვითმომსახურების ტერმინალში** მოთავსების შემდეგ, გადახდის ოპერაციის დასრულებამდე/დადასტურებამდე, ოპერაციის გაუქმების ან სხვა (მათ შორის ტექნიკური) მიზეზის გამო, გადახდის ოპერაციის არ/ვერ შესრულების შემთხვევაში, **თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ დაკავებული თანხით **Bogpay-ის** მეშვეობით **გადახდის ოპერაციის** შესრულებას. ამასთან:
  - 4.10.1. **Bogpay-ის** მეშვეობით შესაბამისი **გადახდის ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ თანხის ოდენობით, **გადახდის ოპერაციის** იდენტიფიკატორზე და **მიმღების** სასარგებლოდ, რომელიც მითითებული იყო **თვითმომსახურების ტერმინალის** მეშვეობით გადახდის ოპერაციის ინიცირების პროცესში, **თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ თანხის დაკავებისას (**თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ დაკავებული თანხის **Bogpay-ის** მეშვეობით საბანკო ანგარიშზე, სხვა **მიმღებთან** ან თანხის სხვა ოდენობით გადარიცხვა ან სხვა **გადახდის ოპერაციის** იდენტიფიკატორზე ოპერაციის შესრულება არ არის შესაძლებელი);
  - 4.10.2. **თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ დაკავებული თანხით **Bogpay-ის** მეშვეობით **გადახდის ოპერაციის** შესრულების მიზნებისთვის, **მომხმარებელი** ვალდებულია გადაიხადოს **თვითმომსახურების ტერმინალის** მეშვეობით გადახდის ოპერაციის შესრულებისთვის დადგენილი საკომისიო, რომელიც **ბანკის** მიერ ჩამოიჭრება **თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ დაკავებული თანხის მოცულობიდან (**გადახდის ოპერაციის** შესრულებზე შესაძლებელია **ბანკის** მიერ მისაღები საკომისიოს გამოკლებით დარჩენილ თანხაზე);
  - 4.10.3. **თვითმომსახურების ტერმინალის** მიერ დაკავებული თანხის **Bogpay-ის** მეშვეობით ანაზღაურების ფუნქციონალით სარგებლობა შესაძლებელია როგორც **ავტორიზაციით**, ასევე **ავტორიზაციის** გარეშე.
  - 4.11. **მომხმარებელი**, რომელიც ფლობს **ბანკის** მიერ ემიტირებულ **ბარათს**, რომლის პირობების შესაბამისად აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს **შელავათით / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალით** უფლებამოსილია **Bogpay-ის** მეშვეობით (მათ შორის sCool Card შემთხვევაში მოსწავლის, ხოლო სტუდენტური ბარათის შემთხვევაში სტუდენტის) **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გაავრცელოს პლასტიკურ **ბარათზე** ან **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში **შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე** (**ბარათის** საიდენტიფიკაციო მონაცემებზე). ამასთან:
    - 4.11.1. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ ემიტირებული **ბარათის** მფლობელ **მომხმარებელს** სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ეკუთვნის **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი**, შესაძლებელია აქვს აღნიშნული **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გაავრცელოს სხვადასხვა **ბარათზე**. ამასთან, ერთ **ბარათზე** შესაძლებელია მხოლოდ ერთი **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გავრცელება.
    - 4.11.2. **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გავრცელება შესაძლებელია რომელიმე, მხოლოდ ერთ, ან **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატებულ **ბარათზე** (**ბარათის** საიდენტიფიკაციო მონაცემებზე) ან **პლასტიკურ ბარათზე**.
    - 4.11.3. **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატებულ **ბარათზე** (**ბარათის** საიდენტიფიკაციო მონაცემებზე) **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გავრცელების/გადატანის შემთხვევაში, თუ **ბარათი** დამატებულია რამდენიმე **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში, **მომხმარებელი** უფლებამოსილია **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გაავრცელოს/გადაიტანოს იმ **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატებულ **ბარათზე**, რომელიც ყველაზე ბოლო თარიღით (გარდა **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახული/დამატებული იმ **ბარათისა**, რომლიდანაც ხდება **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** გადმოტანა) შეინახა/დამახსოვრა **საგადახდო აპლიკაციის** საფულეში.



- 4.12. თვითმომსახურების ტერმინალით შესრულებული გადახდის ოპერაციის **Bogpay**-ის მეშვეობით მოძიების ფუნქციონალით შესაძლებელია თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით შესრულებული გადახდის ოპერაციის მოძიება და შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) ასლის ჩამოტვირთვა ან/და ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების სახით გაგზავნა.
- 4.13. მომხმარებელი ვალდებულია:
- 4.13.1. ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანამდე დარწმუნდეს, რომ იმყოფება **Bogpay**-ზე;
- 4.13.2. არავის გაანდოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები, PIN კოდი და ერთჯერადი კოდი, უსაფრთხოდ შეინახოს ბარათი და არ მისცეს მესამე პირებს მისი გამოყენების შესაძლებლობა და დაიცვას ბარათის გამომშვები ბანკის მიერ დადგენილი უსაფრთხოების წესები და პირობები, რათა თავიდან იქნას არიდებული არაუფლებამოსილი პირის მიერ საბარათო ინსტრუმენტის ან/და მასზე არსებული ნაშთის განკარგვა, ასეთის დადგომის შემთხვევაში მიმართოს ბარათის გამომშვებ ბანკს. მომხმარებელი სრულად პასუხისმგებელია ყველა ვალდებულებაზე, ზიანზე/ზარალზე, რომლებიც წარმოიშვა ბარათის ან/და ბარათის ნომრის ან/და ბარათის მოქმედების ვადის ან/და PIN კოდის ან/და ერთჯერადი კოდის ან/და სხვა წვდომის კოდების გაზიარებიდან;
- 4.13.3. ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში დაბლოკვის მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს ბარათის გამომშვებ ბანკს;
- 4.13.4. არავტორიზებული ან არასწორად შესრულების ოპერაციის შესახებ, ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან დაუყოვნებლივ წერილობით მიმართოს ბანკს.
- 4.14. არაუფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ბარათით გადახდის ოპერაციის შესრულების შემთხვევაში მომხმარებლის ფულადი პასუხისმგებლობის მოცულობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგულირდება ბარათის გამომშვები ბანკის წესებით და პირობებით.
- 4.15. ბანკი, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებით და პირობებით, მომხმარებელს აუნაზღაურებს არავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხას იმ შემთხვევაში თუ არავტორიზებული გადახდის ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 40 (ორმოცი) დღეზე მეტი ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 (ასოთხმოცი) დღეზე მეტი და მომხმარებელმა არავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესახებ ბანკს ამგვარი ოპერაციის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადაში, ხოლო პირდაპირი დებეტის შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის წესით დადგენილ ვადაში შეატყობინა.
- 4.16. ბანკის პასუხისმგებელია დამდგარ ზიანზე თუ მის მიერ განზრახ ან ბრალეული ქმედებით არ შესრულდება გადახდის ოპერაცია, ან შესრულდება არასწორად ან ვადის დარღვევით.
- 4.17. არავტორიზებულად ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში ბანკი მომხმარებელს Chargeback-ის თანხას ჩაურიცხავს ბანკის მიერ თანხის დაბრუნებისთანავე.
- 4.18. იმ შემთხვევაში თუ Visa, Mastercard ან Amex საერთაშორისო წესებითა და ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად დადგინდება, რომ მომხმარებელი ვალდებულია ბანკს დაუბრუნოს Chargeback-ის სახით ჩარიცხული თანხა, თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
- 4.19. ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეწყვიტოს **Bogpay**-ით მომსახურების გაწევა და აღარ გაუწიოს მომხმარებელს **Bogpay**-ის მეშვეობით გადახდის ოპერაციის ან/და ასევე წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ოპერაციების შესრულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომსახურება.
- 4.20. ბანკი უფლებამოსილია, ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით ან/და ბანკისათვის მისაღები სხვა ფორმით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მომხმარებლის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს **Bogpay**-ით სარგებლობის ნებისმიერი პირობა ან/და საკომისიოს ოდენობა. ამგვარი ცვლილება სავალდებულოა მომხმარებლისთვის მისი გამოქვეყნების დღის მომდევნო საბანკო დღიდან, თუ ბანკის მიერ ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
- 4.21. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ისეთ შეზღუდვაზე ან/და **Bogpay**-ის მეშვეობით გადახდის ოპერაციით მომსახურებით სარგებლობის შეუძლებლობაზე, რომელიც განპირობებულია ბარათის გამომშვები ბანკის მიერ დაწესებულ შეზღუდვების/აკრძალვების გამო. ამასთან, ბანკი იხსნის ყოველგვარ



პასუხისმგებლობას, თუ **Bogpay-ის** მეშვეობით გადახდის ოპერაციით სარგებლობისას მომხმარებელს დამატებით დაეკისრა ნებისმიერი ტიპის საკომისიო **ბარათის** გამომშვები ბანკის მიერ.

- 4.22. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **Bogpay-ის** მეშვეობით გადახდის ოპერაციით სარგებლობის მარეგულირებელი წესები და პირობები და არ არეგულირებს მომხმარებელსა და ბარათის გამომშვებ ბანკს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ შორის ბარათის სარგებლობის პირობებთან, ბარათით განხორციელებულ არა ავტორიზებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არასრულწლოვანია, არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა წინამდებარე პირობებზე გაცემულად ითვლება ბარათის გამომშვები ბანკის მიმართ გაცემული თანხმობით, რომლითაც კანონიერი წარმომადგენელი დაეთანხმა არასრულწლოვანის მიერ ბარათით სარგებლობას და მისი საშუალებით ოპერაციების შესრულებას.
- 4.23. **მხარეები** აქვე აღიარებენ, ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ: თუ მომხმარებელზე გავრცელდება, ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის, ევროპის კავშირის ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის (შემდგომში - **სანქციების ორგანო**) მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა ან/და აკრძალვა; ან/და თუ მომხმარებელი ან/და პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს მომხმარებელს, ან/და ქვეყანა/ტერიტორია, რომლის რეზიდენტიც არის მომხმარებელი ან რომელშიც დაფუძნებულია/რეგისტრირებულია ან მდებარეობს ან ოპერირებს მომხმარებელი, მოხდება კონკრეტული სანქცირებული ქვეყნების/ტერიტორიების ან/და პირების სიაში, რომელიც გამოცემულია/წარმოებულია სანქციების ორგანოს მიერ, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით: (i) ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება; და (ii) ბანკის მოქმედება სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება ბანკის მიერ მომხმარებლის წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად და ბანკს არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით მოქმედებისთვის ან/და სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისთვის.
- 4.24. ბანკის მიერ მომხმარებლის პრეტენზიის/საჩივრის მიღების პირობები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე: [www.bankofgeorgia](http://www.bankofgeorgia), რომელიც მომხმარებლის დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე, ექვემდებარება ბანკის შეხედულებისამებრ პერიოდულ განახლებას/ცვლილებას. ამასთან, ბანკის მიერ მიღებულ პრეტენზიაზე/საჩივარზე რეაგირების პირობები და ვადები (მათ შორის განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის პრეტენზიაზე/საჩივარზე განხილვის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირების პირობები და ვადები) დადგენილია ამავე პირობების შესაბამისად.
- 4.25. **Bogpay-ით სარგებლობის წესები და პირობები** დადებულია ქართულ ენაზე და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 4.26. ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, ვებ გვერდის მისამართი: – <http://www.nbg.gov.ge/cp> მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2, რომელიც არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.
- 4.27. „გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406”.

**Bogpay-ის საკომისიოები**

სერვისების კატეგორია	მომხმარებლის საკომისიო
აზარტული თამაშები	უფასო
საქართველოს ბანკის ანგარიშზე თანხის შეტანა(მათ შორის სასესხო/საკრედიტო ვალდებულებების დაფარვა)	1 ლარი + თანხის 1.2%
მობილური ბალანსის შევსება	თანხის 1.2%
აღსრულების ეროვნული ბიურო	1 ლარი
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	<ul style="list-style-type: none"><li>• წინასწარ გადახდილი თანხები - 1 ლარი</li><li>• 30 ლარზე მეტი თანხები - 1 ლარი</li><li>• 30 ლარზე ნაკლები თანხები - 0.5 ლარი</li></ul>
ყველა სხვა სერვისი	0.5 ლარი + თანხის 1.2%